ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 63-99

"8" სექტემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 30/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 310060000.35.101.016353) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-3 მუხლს მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 და მე-7 პუნქტები:

„6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია მოქმედი ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობაში ან მიწის ნაკვეთზე დაადგინოს მხოლოდ ზონალური პარკირების ადგილები შემდგომში მისი პარკირების ოპერატორის მიერ მოწყობის მიზნით. ამ შემთხვევაში აღნიშნულ შენობა-ნაგებობაზე ან მიწის ნაკვეთზე დადგენილ ზონალური პარკირების ადგილზე ვრცელდება ამ დადგენილებით დამტკიცებულის წესის შესაბამისად დადგენილი პარკირების რეგულირების წესი (გარდა ამ წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტისა).

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებზე სატრანსპორტო საშუალების პარკირების წესების დარღვევისათვის შესაბამისი ჯარიმა და საურავი გადაიხდება ბიუჯეტში.".

2. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესის:

ა) მე-3 მუხლს 3^3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^4 პუნქტი:

„3^4. ამ მუხლის 3^2 პუნქტით დადგენილი უფასო პარკირების უფლება არ ვრცელდება ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად დადგენილ ზონალური პარკირების ადგილზე.“;

ბ) მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კერძო საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე პარკირების პირობები დგინდება მესაკუთრის მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გარდა ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

გ) მე-7 მუხლს მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3^1 და 3^2 პუნქტები:

„3^1. ამ დადგენილების მე-3 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრე უფლებამოსილია განცხადებით მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას და შესთავაზოს მის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაზე ან მიწის ნაკვეთზე მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად ზონალური პარკირების ადგილების მოწყობა, რომელზეც გავრცელდება ამ დადგენილებით დამტკიცებული წესი (გარდა წესის მე-3 მუხლის 3^2 პუნქტისა). ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა უფლებამოსილია მოითხოვოს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო აუცილებელი ნებისმიერი დოკუმენტი. პარკირების ოპერატორსა და ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს შორის გასაფორმებელ ხელშეკრულებას ითანხმებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, რომელშიც, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება ზონალური პარკირების ადგილის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის ან მიწის ნაკვეთის მესაკუთრის შესაბამისი საზღაური პარკირების საფასურიდან.

3^2. ამ მუხლის 3^1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განსაზღვრავს ზონალური პარკირების ადგილებს შესაბამის შენობა-ნაგებობაზე ან მიწის ნაკვეთზე.“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**